

**ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD)
კორპორაციული მართვის პრინციპები**

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია

თანახმად კონვენციისა, რომელსაც 1960 წლის 14 დეკემბერს პარიზში მოეწერა ხელი და რომელიც ძალაში 1961 წლის 30 დეკემბერს შევიდა, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია ხელს უწყობს ისეთი პოლიტიკის განხორციელებას, რომელიც მიზნად ისახავს შემდეგს:

- ორგანიზაციის წევრ ქვეყნებში ეკონომიკისა და დასაქმების ზრდას მდგრადობის უზრუნველყოფი მაქსიმალური ტემპით, აგრეთვე ცხოვრების დონის ამაღლებას, იმავდროულად ფინანსური სტაბილურობის შენარჩუნებით და ამგვარად, მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში წვლილის შეტანას.
- ორგანიზაციის წევრ და არა-წევრ ქვეყნებში ჯანსაღი ეკონომიკური ზრდისა და ეკონომიკური განვითარების პროცესში წვლილის შეტანას; და
- მსოფლიო ვაჭრობის მრავალმხრივ და არა-დისკრიმინაციულ საფუძველზე განვითარებაში წვლილის შეტანას საერთაშორისო ვალდებულებათა შესაბამისად.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის თავადპირველ წევრ ქვეყნებს წარმოადგენენ ავსტრია, ბელგია, კანადა, დანია, საფრანგეთი, გერმანია, საბერძნეთი, ისლანდია, ირლანდია, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, ნორვეგია, პორტუგალია, ესპანეთი, შვედეთი, შვეიცარია, თურქეთი, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო და ამერიკის შეერთებული შტატები. შემდგომში ჩამოთვლილი ქვეყნები კი ორგანიზაციას მოგვიანებით მიუერთდნენ (მათი დასახელების შემდგომ მითითებულ წლებში): იაპონია (1964 წლის 28 აპრილს), ფინეთი (1969 წლის 28 იანვარს), ავსტრალია (1971 წლის 7 ივნისს), ახალი ზელანდია (1973 წლის 29 მაისს), მექსიკა (1994 წლის 18 მაისს), ჩეხეთის რესპუბლიკა (1995 წლის 21 დეკემბერს), უნგრეთი (1996 წლის 7 მაისს), პოლონეთი (1996 წლის 22 ნოემბერს), კორეა (1996 წლის 12 დეკემბერს) და სლოვაკეთის რესპუბლიკა (2000 წლის 14 დეკემბერს). ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მუშაობაში მონაწილეობას იღებს ევროპის თემების (საზოგადოებათა) კომისია (იხ. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის კონვენციის მე-13 მუხლი).

წინასიტყვაობა

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის კორპორაციული მართვის პრინციპები მოწონებული და დამტკიცებული იქნა ამ ორგანიზაციის წევრი ქვეყნების მინისტრების მიერ 1999 წელს და მას შემდეგ ეს პრინციპები საერთაშორისო ნიშნულად იქცა კანონმდებლების, ინვესტორების, კორპორაციებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის მთელს მსოფლიოში. ამ პრინციპებმა კიდევ უფრო წინ წასწიეს კორპორაციული მართვის მოთხოვნები და კონკრეტული მიმართულება მისცეს საკანონმდებლო და მარეგულირებელ ინიციატივებს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის როგორც წევრ, ასევე არაწევრ ქვეყნებში. ფინანსური სტაბილურობის ფორუმმა ეს პრინციპები იმ 12 ძირითადი სტანდარტიდან ერთ-ერთად მიიჩნია, რომელთა შესაბამისადაც უნდა იმოქმედონ ჯანსაღმა ფინანსური სისტემებმა. გარდა ამისა, ეს პრინციპები წარმოადგენს საფუძველს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრ ქვეყნებსა და არაწევრ ქვეყნებს შორის თანამშრომლობის პროგრამებისათვის და ამ პრინციპებს ემყარება მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის სტანდარტებისა და კოდექსების დაცვის ანგარიშების (ROSC) კორპორაციული მართვის კომპონენტი.

დღეისათვის, ეს პრინციპები დეტალურად იქნა გადასინჯული, რათა მათში გათვალისწინებული და ასახული ყოფილიყო ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრ და არაწევრ ქვეყნებში უკანასკნელ პერიოდში მიმდინარე მოვლენები და გამოცდილებანი. კანონმდებლები ამჟამად უფრო უკეთ იაზრებენ, თუ რა დიდი წვლილის შეტანა შეუძლია კარგ კორპორაციულ მართვას ფინანსური ბაზრების სტაბილურობაში, ინვესტიციებსა და ეკონომიკის ზრდაში. კომპანიებსაც უკეთ ესმით, თუ როგორ ამადლებს კარგი კორპორაციული მართვა მათ კონკურენტუნარიანობას. ინვესტორები, განსაკუთრებით კი კოლექტიური საინვესტიციო ინსტიტუტები და საპენსიო ფონდები, რომლებიც მეურვის როლს ასრულებენ (რომლებზეც მრავალი სხვადასხვა პირის კაპიტალის მართვაა მინდობილი), აცნობიერებენ, რომ მათ მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულონ კარგი კორპორაციული მართვის პრაქტიკის დანერგვის საქმეში, რითაც გაამყარებენ მათ მიერ ჩადებული ინვესტიციების ღირებულებას. დღევანდელ ეკონომიკაში, კორპორაციული მართვისადმი ინტერესი სცილდება ცალკეული კომპანიების სათანადოდ მართვაში მის აქციონერთა დაინტერესებულობის ფარგლებს. იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენს ეკონომიკაში კერძო კომპანიები ცენტრალურ როლს თამაშობენ და ჩვენს პირად დანაზოგსა და საპენსიო შემოსავლებს სულ უფრო და უფრო ვანდობთ კერძო სექტორის ინსტიტუტებს, კარგი კორპორაციული მართვის დანერგვა ნიშნელოვანი ხდება მოსახლეობის სულ უფრო ფართო და მზარდი სეგმენტისათვის.

კორპორაციული მართვის ამ 12 პრინციპის გადასინჯვა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის **(ეთგო)** კორპორაციული

მართვის საორგანიზაციო ჯგუფმა დაიწყო მისთვის 2002 წელს ეთგო-ს მინისტრების მიერ მინიჭებული მანდატის ფარგლებში. პრინციპების გადასინჯვის პროცესს დაეხმარა დეტალური გამოკვლევა იმის შესახებ თუ როგორ გადაჭრეს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრმა ქვეყნებმა კორპორაციული მართვის სფეროში მათ წინაშე მდგომი პრობლემები. გარდა ამისა, გათვალისწინებული იქნა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის გარეთ არსებული გამოცდილება – გამოცდილება იმ ქვეყნებისა, სადაც ორგანიზაცია, მსოფლიო ბანკთან და სხვა სპონსორებთან თანამშრომლობით, რეგიონალური რეფორმების მხარდაჭერის მიზნით კორპორაციული მართვის თემებზე “მრგვალი მაგიდის გარშემო” დისკუსიების წარმართვას უკეთებს ორგანიზებას.

პრინციპების გადასინჯვის პროცესს დიდი დახმარება გაუწია სხვადასხვა მხრიდან მიღებულმა დახმარებამ. პროცესში მონაწილეობა მიიღეს ძირითადად საერთაშორისო ინსტიტუტებმა, ინტენსიური კონსულტაციები გაიმართა კერძო სექტორის, მშრომელთა, სამოქალაქო საზოგადოებისა და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის არაწევრი ქვეყნების წარმომადგენლებთან. გარდა ამისა, პროცესში დიდი წვლილი შეიტანეს საერთაშორისოდ აღიარებულმა ექსპერტებმა, რომლებმაც ჩემს მიერ მოწვეულ ორ მაღალი-დონის შეხვედრაში მიიღეს მონაწილეობა. და ბოლოს, ძალიან ბევრი კონსტრუქციული წინადადება იქნა მიღებული მას შემდეგ, რაც ინტერნეტში გამოქვეყნდა კორპორაციული მართვის პრინციპების პროექტი და საზოგადოებას მასთან დაკავშირებით საკუთარი აზრის გამოხატვის საშუალება მიეცა.

ეს პრინციპები ცოცხალ ორგანიზმს წარმოადგენს, რომელიც კომპანიებს ისეთ ნებაყოფლობით სტანდარტებსა და კარგ პრაქტიკას, და მათი პრაქტიკულად განხორციელების სახელმძღვანელოს სთავაზობს, რომლის ადაპტირებაც შესაძლებელია თითოეული ქვეყნისა თუ რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია წარმოადგენს ფორუმს მუდმივი დიალოგისა და გამოცდილებათა გაზიარებისათვის წევრ და არა-წევრ ქვეყნებს შორის. იმისათვის, რომ არ ჩამორჩეს მუდმივად ცვალებად გარემოს, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია მუდმივად თვალყურს ადევნებს კორპორაციული მართვის სფეროში მიმდინარე მოვლენებს, განსაზღვრავს ტენდენციებს და ეძებს ახლად წარმოქმნილი სირთულეების გადაჭრის გზებს.

ეს გადასინჯული პრინციპები კიდევ უფრო გააძლიერებს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წვლილსა და ძალისხმევას მიმართულს მომავალში კორპორაციული მართვის გაძლიერებისაკენ მთელს მსოფლიოში. ეს სამუშაო მთლიანად ვერ აღმოფხვრის კრიმინალურ საქმიანობას, იგი ასეთ ქმედებათა ჩადენას გაართულებს, თუ მიღებული წესები და კანონები ამ პრინციპების შესაბამისი იქნება.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ ჩვენი ძალისხმევა ხელს შეუწყობს პროფესიონალური და ეთიკური ქცევის ღირებულებების კულტურის გამომუშავებას, ისეთი კულტურისა, რომლებსაც კარგად ფუნქციონირებადი ბაზრები ემყარება. ნდობა და პატიოსნება არსებით როლს თამაშობს ეკონომიკურ ცხოვრებაში და ბიზნესისა და სამომავლო კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად საჭიროა მათი სათანადოდ დაფასება და აღიარება.

დონალდ ჯ. ჯონსტონი

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების
ორგანიზაციის გენერალური მდივანი

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის კორპორაციული მართვის პრინციპები

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის კორპორაციული მართვის პრინციპები თავიდან შემუშავებული იქნა 1998 წლის 27-28 აპრილის ორგანიზაციის საბჭოს მინისტრთა შეხვედრის იმ მოწოდების პასუხად, რომელიც მოითხოვდა, რომ ქვეყნების მთავრობებთან, სხვა შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებთან და კერძო სექტორთან მჭიდრო თანამშრომლობით შემუშავებული ყოფილიყო კორპორაციული მართვის სტანდარტები და სახელმძღვანელო ინსტრუქციები. მას შემდეგ, რაც 1999 წელს ამ პრინციპებზე შეთანხმება მოხდა, ისინი (პრინციპები) კორპორაციული მართვის სფეროში ინიციატივებს დაედო საფუძვლად, როგორც ეთგო-ს წევრ, ასევე არა-წევრი ქვეყნებში. უფრო მეტიც, ეს პრინციპები აღიარებული იქნა, როგორც ერთერთი სტანდარტი იმ 12 ძირითად სტანდარტთაგან, რომელთაც ჯანსაღი ფინანსური სისტემები უნდა აკმაყოფილებდნენ და რომლებიც ფინანსური სტაბილურობის ფორუმის მიერ იქნა დაწესებული. შესაბამისად, სწორედ აღნიშნულ პრინციპებს ემყარება მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის სტანდარტებისა და კოდების დაცვის ანგარიშების (ROSC) კორპორაციული მართვის კომპონენტი.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის საბჭოს შეხვედრაზე მინისტრთა დონეზე, რომელიც 2002 წელს გაიმართა, გადაწყდა, რომ შესწავლილი ყოფილიყო ეთგო-ს წევრ ქვეყნებში მიმდინარე მოვლენები და კორპორაციული მართვის პრინციპები შეფასებულიყო კორპორაციული მართვის სფეროში მიმდინარე მოვლენების ფონზე. ეს სამუშაო დაეკისრა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის კორპორაციული მართვის საორგანიზაციო ჯგუფს, რომელიც ეთგო-ს წევრი ქვეყნების წარმომადგენლებისაგან შედგება. გარდა ამისა, ამ ჯგუფში დამკვირვებლის სტატუსით შევიდნენ მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო ანგარიშსწორებათა ბანკი (BIS) და საერთაშორისო სავალუტო ფონდი. ამასთან, შეფასების მიზნითა და საჭიროების შემთხვევაში დამკვირვებლის სტატუსით ეთგო-ს საორგანიზაციო ჯგუფმა ფინანსური სტაბილურობის ფორუმი, ბაზელის კომიტეტი და ფასიანი ქაღალდების კომისიების საერთაშორისო ორგანიზაციაც მოიწვია.

კორპორაციული მართვის პრინციპების გადასინჯვის პროცესში, საორგანიზაციო ჯგუფმა დეტალური კონსულტაციები გამართა და წევრების დახმარებით მოამზადა **ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრ ქვეყნებში მიმდინარე მოვლენათა მიმოხლვის დოკუმენტი**. ამ კონსულტაციებში მონაწილეობა მიიღო უამრავი ქვეყნის ექსპერტმა: ექსპერტები მონაწილეობდნენ “მრგვალი მაგიდის გარშემო” დისკუსიებში რეგიონალური კორპორაციული მართვის შესახებ, რომელიც ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მიერ, კორპორაციული მართვის გლობალური ფორუმისა და სხვათა დახმარებით,

აგრეთვე მსოფლიო ბანკსა და ემბო-ს არა-წევრ სხვა ქვეყნებთან თანამშრომლობით, იქნა ორგანიზებული რუსეთში, აზიაში, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში, ლათინურ ამერიკასა და ევრაზიაში. უფრო მეტიც, საორგანიზაციო ჯგუფმა კონსულტაციები გამართა ძალიან ბევრ დაინტერესებულ მხარესთან, როგორებიცაა ბიზნეს-სექტორი, პროფკავშირები, პროფესიული ჯგუფები ქვეყნისა და საერთაშორისო დონეებზე, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები და საერთაშორისო სტანდარტების დამწესებელი ორგანიზაციები. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის პრინციპების პროექტი გამოქვეყნებული იქნა ეთგო-ს ინტერნეტ-გვერდზე, საზოგადოების მხრიდან კომენტარების მიღების მიზნით და შედეგად დიდი გამოხმაურება ჰპოვა. ეს რეაგირებაც საჯაროდ იქნა გამოქვეყნებული ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ინტერნეტ-გვერდზე.

კორპორაციული მართვის საორგანიზაციო ჯგუფში წარმართული დისკუსიების, მიმოხილვისა და მრავალი კონსულტაციის დროს მიღებული შენიშვნების საფუძველზე გადაწყდა, რომ საჭიროა 1999 წლის პრინციპების გადასინჯვა, რათა მათში ასახული და გათვალისწინებული იქნეს ახალი მოვლენები და აქტუალური საკითხები. მიღწეული იქნა შეთანხმება, რომ ამ პრინციპების გადასინჯვა განხორციელდეს ისე, რომ შენარჩუნებული იქნეს აღნიშნული პრინციპების დაცვის ნებაყოფლობითი ხასიათი, რაც თავის მხრივ აღიარებს იმას, რომ არსებობს სხვადასხვა ეკონომიკურ თუ კულტურულ კონტექსტებში მათი ადაპტირების საჭიროება. ამ დოკუმენტში მოცემულია სწორედ ახალი, უკვე გადასინჯული, პრინციპები, რომელიც ემყარება არა მხოლოდ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრი, არამედ არაწევრი ქვეყნების უდიდეს გამოცდილებასაც.

პრეამბულა

კორპორაციული მარვის პრინციპების მიზანია დაეხმაროს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრი და არაწევრი ქვეყნების მთავრობებს თავიანთი ქვეყნების კორპორაციული მართვის იურიდიული, ინსტიტუციონალური და მარეგულირებელი ბაზის შეფასებასა და გაუმჯობესებაში, და ამასთან გარკვეული მიმართულება და წინადადებები შესთავაზოს საფონდო ბირჟებს, ინვესტორებს, კორპორაციებს და სხვა მხარეებს, რომელნიც გარკვეულ როლს ასრულებენ კარგი კორპორაციული მართვის პროცესში. ეს პრინციპები ძირითად აქცენტს იმ კომპანიებზე აკეთებს (როგორც ფინანსურ, ასევე არა-საფინანსო კომპანიებზე), რომელთა აქციებიც საჯაროდ იყიდება ბაზარზე. თუმცა, ეს პრინციპები შესაძლოა, სასარგებლო აღმოჩნდეს კორპორაციული მართვის გასაუმჯობესებლად იმ კომპანიებშიც, რომელთა აქციებიც ბაზარზე საჯაროდ გასაყიდად არ არის გამოტანილი - მაგალითად, კერძო კომპანიებისა და სახელმწიფოს მფლობელობაში მყოფი კომპანიებისათვის. ეს პრინციპები წარმოადგენს იმ საერთო საფუძველს, რომელსაც ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრი ქვეყნები არსებით მნიშვნელობას ანიჭებენ კარგი კორპორაციული მართვის მიღწევის საქმეში. პრინციპები მოკლედ, მკაფიოდ და საერთაშორისო საზოგადოებისათვის გასაგებ ენაზეა ფორმულირებული. ამ პრინციპების მიზანს არ წარმოადგენს, რომ ჩაენაცვლოს მთავრობის, მისი უწყებების ან კერძო სექტორის ინიციატივებს კორპორაციული მართვის “საუკეთესო პრაქტიკის” უფრო დეტალური პრინციპების შემუშავების საქმეში.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციასა და მისი წევრი ქვეყნების მთავრობებს სულ უფრო და უფრო უკეთ ესმით რომ ფუნდამენტალური პოლიტიკის მიზნების მისაღწევად საჭიროა თავსებადი მაკროეკონომიკური და სტრუქტურული პოლიტიკების ერთობლიობა (მათი სინერგიულობა). კორპორაციული მართვა ერთერთი მთავარი ელემენტია ეკონომიკის ეფექტურობისა და ზრდის მიღწევის, აგრეთვე ინვესტორში ნდობის გაძლიერებისაკენ მიმავალ გზაზე. კორპორაციული მართვა მოიცავს მთელ რიგ ურთიერთობებს კომპანიის მენეჯმენტს, მის საბჭოს, აქციონერებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის. გარდა ამისა, კორპორაციული მართვა იძლევა იმ სტრუქტურას, რომლის საფუძველზეც ხდება კომპანიის მიზნების დასახვა და ამ მიზნების მისაღწევი საშუალებებისა და კომპანიის მუშაობის ავ-კარგიანობაზე მონიტორინგის ფორმების განსაზღვრა. კარგი კორპორაციული მართვა სათანადო სტიმულს უნდა აძლევდეს კომპანიის მენეჯმენტსა და საბჭოს იმისათვის, რომ მათ კომპანიისა და მის აქციონერთა ინტერესებიდან გამომდინარე მიზნების მიღწევისათვის იღვაწონ და ხელი შეუწყონ ეფექტური მონიტორინგის განხორციელებას. კორპორაციული მართვის ეფექტური სისტემის არსებობა, ცალკეულ კომპანიებსა და საერთოდ სხვადასხვა ქვეყნების ეკონომიკაში, ხელს უწყობს ისეთი ხარისხის ნდობისა და რწმენის გაჩენას, რომელიც აუცილებელია საბაზრო ეკონომიკის სათანადოდ ფუნქციონირებისათვის. შედეგად, კაპიტალის ღირებულება უფრო დაბალი ხდება, ხოლო ფირმები რესურსების უფრო ეფექტურად ხარჯვას იწყებენ, რითაც ეკონომიკური ზრდის საფუძველს ქმნიან.

კორპორაციული მართვა მხოლოდ ნაწილია იმ ფართო ეკონომიკური კონტექსტისა, რომელშიც ფირმები ფუნქციონირებენ და რომელიც მოიცავს მაგალითად, მაკროეკონომიკურ პოლიტიკასა და კონკურენციის დონეს პროდუქციისა და სერვისის ბაზრებზე. გარდა ამისა, კორპორაციული მართვის ბაზა დამოკიდებულია იურიდიულ, მარეგულირებელ და ინსტიტუციონალურ გარემოზე. ამასთან, კომპანიის რეპუტაციასა და მის გრძელ-ვადიან წარმატებაზე შესაძლოა ზეგავლენა იქონიოს ისეთმა ფაქტორებმაც, როგორებიცაა მაგალითად, ბიზნესის ეთიკა და კორპორაციული ცნობიერება იმ საზოგადოებისა და თემების გარემოსდაცვითი და სოციალური ინტერესების შესახებ, რომელშიც კომპანიას უწევს ფუნქციონირება.

მაშინ, როდესაც სხვადასხვა ფაქტორები ზეგავლენას ახდენენ ფირმების მართვასა და მათ მიერ გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე, და მნიშვნელოვან წილად განსაზღვრავენ მათ წარმატებას დროის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, კორპორაციული მართვის პრინციპები აქცენტს მართვის იმ პრობლემებზე აკეთებს, რომლებიც მფლობელობისა და კონტროლის დანაწევრების შედეგად წარმოიშვება. თუმცა, ეს მხოლოდ აქციონერებსა და მენეჯმენტს შორის ურთიერთობის საკითხს არ გულისხმობს, მაგრამ ეს საკითხი კორპორაციული მართვის მართლაც ცენტრალურ ელემენტს წარმოადგენს. გარკვეული იურისდიქციის მქონე ქვეყნებში, კორპორაციული მართვის საკითხების აქტუალურობის ერთერთი მიზეზია ის ძალაუფლება, რომელიც აქციათა საკონტროლო პაკეტის მქონე აქციონერებს გააჩნიათ არა-საკონტროლო პაკეტის მფლობელებთან მიმართებაში. სხვა ქვეყნებში, კომპანიის თანამშრომლებს მნიშვნელოვანი სამართლებრივი უფლებანი გააჩნიათ, მიუხედავად საკუთრებაზე მათი უფლებებისა. აქედან გამომდინარე, კორპორაციული მართვის პრინციპები შემავსებელი უნდა იყოს უფრო ფართო მიდგომისა შემოწმებისა და ურთიერთგაწონასწორების პრინციპის მოქმედებისადმი. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის სხვა დოკუმენტებში (მათ შორის, *სახელმძღვანელოში მრავალნაციონალური საწარმოებისათვის* და *საერთაშორისო გარიგებებში უცხო ქვეყნების სახელმწიფო მოხელეთა მოქრთამის წინააღმდეგ ბრძოლის კონვენციაში*), აგრეთვე სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების დოკუმენტებში უფრო დეტალურად და მკაფიოდ არის მოცემული კომპანიის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესთან დაკავშირებული საკითხები, როგორებიცაა მაგალითად, გარემოსდაცვითი, ანტი-კორუფციული და ეთიკური საკითხები.

კორპორაციულ მართვაზე ზეგავლენას ახდენს მართვის სისტემაში მონაწილე მხარეებს შორის ურთიერთობები. კორპორაციულ მართვაზე მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლიათ აქციათა საკონტროლო პაკეტის მფლობელ აქციონერებს, რომელნიც შეიძლება იყვნენ კერძო პირები, საოჯახო ჰოლდინგები, ბლოკ-აღიანსები ან სხვა კორპორაციები, რომლებიც ჰოლდინგური კომპანიის სახით ან სააქციო კაპიტალში ორმხრივი წილობრივი მონაწილეობით მოქმედებენ. ინსტიტუციონალური მესაკუთრენი, როგორც კაპიტალის მფლობელები, ზოგიერთ ბაზრებზე სულ უფრო და უფრო მეტად

ითხოვენ ხმის უფლებას კორპორაციული მართვის საკითხებთან დაკავშირებით. ინდივიდუალური აქციონერები, შეიძლება მაინცდამაინც არ ეძიებდნენ მართვის უფლების გამოყენებას, მაგრამ რა თქმა უნდა, მოითხოვენ მათ მიმართ სამართლიან მოპყრობას აქციათა საკონტროლო პაკეტის მფლობელებისა და კომპანიის მენეჯმენტის მხრიდან. კრედიტორები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ მართვის მთელ რიგ სისტემებში და ისინი კორპორაციული მართვის სფეროზე გარეშე მაკონტროლებლის როლს ასრულებენ. კორპორაციის გრძელ-ვადიან წარმატებასა და ეფექტურ მუშაობაში მნიშვნელოვანი როლი ეკისრებათ კომპანიის თანამშრომლებსა და სხვა აქციონერებს, ხოლო მთავრობები კი კორპორაციული მართვისათვის საჭირო ზოგად ინსტიტუციონალურ და იურიდიულ ბაზას ჰქმნიან. თითოეული ამ “მონაწილის” როლი და მათი ურთიერთობები სხვადასხვაგვარია და ერთმანეთისაგან განსხვავდება ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის როგორც წევრ, ასევე არა-წევრ ქვეყნებს შორის. ეს ურთიერთობანი ნაწილობრივ კანონითა და მარეგულირებელი წესებით რეგულირდება, ხოლო ნაწილობრივ ნებაყოფლობით ადაპტირებაზე, ხოლო უმთავრესად საბაზრო ძალებზეა დამოკიდებული.

საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღებისას სულ უფრო და უფრო მეტი ყურადღება ექცევა იმას, თუ რამდენად აკმაყოფილებენ კორპორაციები კარგი კორპორაციული მართვის ძირითად პრინციპებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ურთიერთდამოკიდებულება კორპორაციული მართვის პრაქტიკასა და ინვესტიციების მზარდ საერთაშორისო ხასიათს შორის. კაპიტალის საერთაშორისო ბაზანზე მიმოქცევა კომპანიებს საშუალებას აძლევს, რომ დაფინანსება ინვესტორთა ბევრად უფრო ფართო წრიდან ამოიარჩიოს. თუ ქვეყნებს სურთ სრულად ისარგებლონ კაპიტალის გლობალური ბაზრის “სიკეთებით” და თუ სურთ მოიზიდონ გრძელვადიანი და “მომთმენი” კაპიტალი, მათი კორპორაციული მართვის სისტემა სანდო, მთელს მსოფლიოში თანაბრად გასაგები და საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპების შესაბამისი უნდა გახდეს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ კორპორაცია უპირველესად უცხოურ კაპიტალზე დამოკიდებული არ გახლავთ, კარგი კორპორაციული მართვის პრინციპების დაცვა მნიშვნელოვნად გაზრდის ადგილობრივი ინვესტორების მხრიდან ნდობასაც, შეამცირებს კაპიტალის ღირებულებას, ხელს შეუწყობს ფინანსური ბაზრების კარგ ფუნქციონირებას და საბოლოოდ, დაფინანსების უფრო სტაბილური წყაროების მოპოვებას.

არ არსებობს კარგი კორპორაციული მართვის ერთადერთი მოდელი. თუმცა, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრ ქვეყნებსა და არაწევრ ქვეყნებში, აგრეთვე თავად ორგანიზაციის შიგნით ჩატარებული სამუშაოს შედეგად განისაზღვრა რამოდენიმე საერთო ელემენტი, რომელიც კარგი კორპორაციული მართვის საფუძველს წარმოადგენს. კორპორაციული მართვის პრინციპები სწორედ ამ საერთო ელემენტებს ეფუძნება და ისინი ფორმულირებული იქნა ისე, რომ მოიცვას არსებული სხვადასხვა მოდელები, მაგალითად, ისინი რეკომენდაციას არ უწევენ საბჭოს რომელიმე კონკრეტულ სტრუქტურას, ხოლო ტერმინი “საბჭო” ამ დოკუმენტში ისეთნაირად არის ნახმარი, რომ მოიცვას საბჭოს

სტრუქტურის სხვადასხვა მოდელები, რომლებიც არსებობს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრ და არა-წევრ ქვეყნებში. ტიპურ-ორ-საფეხურიან სისტემაში, რომელიც ზოგიერთ ქვეყანაში არსებობს, კორპორაციული მართვის პრინციპებში ნახსენები ტერმინი “საბჭო” გამოიყენება “სამეთვალყურეო საბჭოს” აღსანიშნავად, ხოლო ტერმინი “ძირითადი აღმასრულებელი პირები” “მენეჯმენტს” (კომპანიის დირექტორებს) აღნიშნავს. საბჭოსადმი წაყენებული პრინციპები, შესაბამისი ცვლილებებით, ვრცელდება ისეთ სისტემებზეც, სადაც ერთსაფეხურიანი საბჭოს მუშაობაზე ზედამხედველობას შიდა აუდლოტორული ორგანო ახორციელებს. ტექსტში ერთი და იმავე მნიშვნელობით იხმარება ტერმინები “კომპანია” და “კორპორაცია”.

კორპორაციული მართვის პრინციპები არ გახლავთ სავალდებულოდ შესასრულებელი და მიზნად არ ისახავს ქვეყნის შიდა კანონმდებლობის მიერ დეტალურად ჩამოსაყალიბებელი წესების ჩანაცვლებას. არამედ, ამ პრინციპების მიზანია მიზნების განსაზღვრა და მათი მიღწევის სხვადასხვა საშუალებათა დასახვა. პრინციპები განხილული უნდა იქნეს, როგორც ორიენტირები. ისინი შესაძლოა კანონმდებლის მიერ საორიენტაციოდ იქნეს გამოყენებული მათ მიერ კორპორაციული მართვისათვის ისეთი იურიდიული და მარეგულირებელი ბაზის შემუშავებისას, რომელმაც ამ ქვეყნის ეკონომიკური, სოციალური, საკანონმდებლო და კულტურული თავისებურებანი უნდა ასახოს. ანალოგიურად, აღნიშნული პრინციპები შეიძლება ორიენტირად იქცეს ბაზარზე არსებული კომპანიებისათვის თავიანთი კორპორაციული მართვის პრაქტიკაზე მუშაობისას.

კორპორაციული მართვის პრინციპები ევოლუციური ხასიათისაა და საჭიროა მათი გადასინჯვა გარემოებების მნიშვნელოვანი ცვლილებების ფონზე. ცვალებად სამყაროში კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად ორგანიზაციებს ნოვატორული მიდგომა და თავიანთი კორპორაციული მართვის პრაქტიკის იმგვარი ადაპტირება ესაჭიროებათ, რომ შეძლონ ახალი მოთხოვნების დაკმაყოფილება და ახალ შესაძლებლობათა გამოყენება. ანალოგიურად, მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა ეკისრებათ მთავრობებს, კერძოდ კი ეფექტური საკანონმდებლო საბჭოს ფორმირებაზე, რომელიც საკმაოდ მოქნილი იქნება იმისათვის, რომ ბაზრებმა ეფექტური ფუნქციონირებისა და აქციონერთა და სხვა დაინტერესებული მხარეების მოლოდინის დაკმაყოფილება შესძლონ. სწორედ მთავრობებმა და ბაზარზე მოქმედმა პირებმა უნდა გადწვიტონ, თუ როგორ აჯობებს კორპორაციული მართვის აღნიშნული პრინციპების გამოყენება კორპორაციული მართვის მათ კონკრეტულ ჩარჩოში, რეგულირების დანახარჯებისა და მისგან მოტანილი სარგებლის გათვალისწინებით.

ქვემოთ მოყვანილი დოკუმენტი ორ ნაწილად არის გაყოფილი. პირველ ნაწილში მოცემული პრინციპები შემდეგ სფეროებს მოიცავს: I) ეფექტური კორპორაციული მართვის სტრუქტურისათვის საჭირო საფუძვლების უზრუნველყოფა; II) აქციონერთა უფლებები და საკუთრების უფლების ძირითადი ფუნქციები; III) აქციონერთა მიმართ სამართლიანი მოპყრობა; IV)

დაინტერესებულ მხარეთა როლი; V) ინფორმაციის გახსნა და გამჭვირვალობა; და VI) საბჭოს პასუხისმგებლობანი. ამ დოკუმენტის თითოეულ ნაწილს სათაურად აქვს ერთერთი პრინციპთაგანი, რომელიც გამუქებული და დახრილი ასოებით არის მოცემული და რომელსაც თან მოჰყვება რამოდენიმე დამხმარე ქვე-პრინციპი. დოკუმენტის მე-2 ნაწილში პრინციპები შევსებულია ანოტაციებით, რომელიც იძლევა კომენტარს პრინციპების შესახებ და რომლის მიზანიცაა დაეხმაროს მკითხველს ამ პრინციპებისა და მათ მიღმა არსებული ლოგიკის სწორად გაგებაში. გარდა ამისა, ანოტაციები შეიძლება შეიცავდეს გაბატონებული ტენდენციების აღწერას და გვთავაზობდეს განხორციელების ალტერნატიულ მეთოდებსა და ისეთ მაგალითებს, რომლებიც შესაძლოა სასარგებლო იქნეს აღნიშნული პრინციპების პრაქტიკაში ამოქმედების პროცესში.

ნაწილი პირველი

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების
ორგანიზაციის კორპორაციული მართვის
პრინციპები

I. ეფექტური კორპორაციული მართვის სტრუქტურისათვის საჭირო საფუძვლების უზრუნველყოფა

კორპორაციული მართვის სტრუქტურა ხელს უნდა უწყობდეს ბაზრის გამჭვირვალებასა და ეფექტურობას, შეესაბამებოდეს კანონის უზენაესობის პრინციპებს და მკაფიოდ მიჯნავდეს პასუხისმგებლობას სხვადასხვა სამეთვალყურეო, მარეგულირებელ და აღმასრულებელ ორგანოებს შორის.

- ა. კორპორაციული მართვის სტრუქტურა შემუშავებული უნდა იქნეს იმის გათვალისწინებით, თუ რა ზეგავლენას მოახდენს იგი საერთოდ ეკონომიკაზე, ბაზრის სიმყარეზე და რა სტიმულს მისცემს იგი ბაზარზე მოქმედ პირებსა და ბაზრების ეფექტურობისა და გამჭვირვალების ზრდას.
- ბ. ის იურიდიული და მარეგულირებელი მოთხოვნები, რომლებიც კორპორაციულ მართვას ეხება რომელიმე კონკრეტულ იურიდიულ ქციაში, თავსებადი უნდა იყოს კანონის უზენაესობასთან, უნდა იყოს გამჭვირვალე და პრაქტიკულად შესრულებადი.
- გ. ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოებს შორის პასუხისმგებლობათა დანაწილება მკაფიოდ უნდა იქნეს ფორმულირებული და უნდა უზრუნველყოფდეს საზოგადოების ინტერესების სამსახურს.
- დ. საზედამხედველო, მარეგულირებელ და აღმასრულებელ ორგანოებს უნდა ჰქონდეთ უფლებამოსილებები და რესურსები, რომელნიც მათ თავიანთი მოვალეობების პროფესიონალურად და ობიექტურად შესრულების საშუალებას მისცემს. უფრო მეტიც, გადაწყვეტილებები დროულად, გამჭვირვალედ და სრული ახსნა-განმარტებების მიწოდებით უნდა იქნეს მიღებული.

II. აქციონერთა უფლებები და მფლობელობის ძირითადი ფუნქციები

კორპორაციული მართვის სტრუქტურა უნდა იცავდეს და ხელს უნდა უწყობდეს აქციონერების მიერ თავიანთი უფლებების გამოყენებას.

- ა. აქციონერთა ძირითად უფლებებში უნდა შედიოდეს: 1) მფლობელობის რეგისტრაციის სანდო მეთოდებით სარგებლობის უფლება; 2) აქციათა გადაცემის უფლება; 3) კორპორაციის შესახებ შესაბამისი და მნიშვნელოვანი ინფორმაციის დროულად და რეგულარულად მიღების უფლება; 4) აქციონერთა საერთო კრებაზე მონაწილეობის მიღებისა და ხმის მიცემის უფლება; 5) საბჭოს წევრების არჩევისა და გათავისუფლების უფლება; და 6) კორპორაციის მოგებიდან წილის მიღების უფლება.
- ბ. აქციონერებს უნდა ჰქონდეთ უფლება მონაწილეობა მიიღონ და საკმარისად იქნენ ინფორმირებულნი ისეთი გადაწყვეტილებების შესახებ, რომელნიც მიღებული იქნება კორპორაციაში მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელებასთან დაკავშირებით. ეს ეხება ისეთ ცვლილებებს, როგორებიცაა: 1) შესწორებების შეტანა წესდებაში ან კომპანიის საქმიანობის მარეგულირებელ სხვა ანალოგიურ დოკუმენტებში; 2) დამატებითი აქციების გამოშვება და 3) მსხვილი გარიგებანი, მათ შორის ყველა ან თითქმის ყველა აქტივის გადაცემა, რაც ფაქტიურად კომპანიის გაყიდვის ტოლფასია.
- გ. აქციონერებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, რომ ეფექტურად მიიღონ მონაწილეობა და ხმა მისცენ აქციონერთა საერთო კრებებზე და ინფორმირებულნი იქნენ იმ წესების შესახებ, მათ შორის კენჭისყრის პროცედურის შესახებ, რომლებიც აქციონერთა საერთო კრების მუშაობას არეგულირებენ. ამისათვის:
 1. აქციონერებს დროულად უნდა მიეწოდოთ საკმარისი ინფორმაცია აქციონერთა საერთო კრების გამართვის დროის, ადგილისა და დღის წესრიგის შესახებ, მათ აგრეთვე უნდა მიეწოდოთ სრული და დროული ინფორმაცია იმ საკითხების შესახებ, რომლებიც კრებაზე განიხილება;
 2. აქციონერებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა: შეკითხვები დაუსვან საბჭოს, მათ შორის შეკითხვები ყოველწლიურ გარე აუდიტთან დაკავშირებით, მოითხოვონ გარკვეული საკითხების აქციონერთა საერთო კრების მუშაობის დღის წესრიგში ჩასმა, და კრებას შესთავაზონ გადაწყვეტილებები, რომლებიც შესაძლოა გარკვეული გონივრული შეზღუდვის საგანი გახდეს.
 3. აქციონერებს საშუალება უნდა მიეცეთ ეფექტურად მიიღონ მონაწილეობა კორპორაციულ მართვასთან დაკავშირებული ძირითადი გადაწყვეტილებების მიღებაში, როგორებიცაა მაგალითად საბჭოში წევრობის კანდიდატთა დასახელება და არჩევა. აქციონერებს უნდა მიეცეთ საშუალება, გამოხატონ თავიანთი თვალსაზრისი საბჭოს წევრებისა და უმაღლესი აღმასრულებელი პირების სახელფასო პოლიტიკის შესახებ.

საბჭოს წევრებისა და დაქირავებული თანამშრომლების ანაზღაურებაში აქციათა შეტანის საკითხი აქციონერთა თანხმობას უნდა საჭიროებდეს.

4. აქციონერებს უნდა ჰქონდეთ უფლება, კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღონ პირადად ან დაუსწრებლად, და მიცემულ ხმას ერთი და იგივე ძალა უნდა ჰქონდეს მიუხედავად იმისა ეს ხმა აქციონერმა პირადად მისცა თუ დაუსწრებლად.

დ. უნდა გაიხსნას ინფორმაცია კაპიტალის ისეთი სტრუქტურისა და ორგანიზების შესახებ, რომელიც გარკვეულ აქციონერებს კონტროლის ისეთ ხარისხს ანიჭებს, რომელიც დისპროპორციულად დიდია მათ მფლობელობაში არსებულ აქციებთან.

ე. კორპორაციული კონტროლის ბაზრებს ევექტურად და გამჭვირვალედ ფუნქციონირების საშუალება უნდა ჰქონდეთ.

1. კაპიტალის ბაზრებზე კორპორაციული კონტროლის მოპოვების მარეგულირებელი წესები და პროცედურები, აგრეთვე ისეთი განსაკუთრებული გარიგებანი, როგორც არის კომპანიათა შერწყმა და კორპორაციული აქტივების მნიშვნელოვანი ნაწილის გაყიდვა, მკაფიოდ უნდა იქნეს ფორმულირებული და გახსნილი, რათა ინვესტორებმა იცოდნენ თავიანთი უფლებანი და მათი დაცვის საშუალებანი. გარიგებების ფასები გამჭვირვალედ უნდა იყოს, ხოლო გარიგების პირობები - სამართლიანი, ანუ ისეთი რომ დაიცვას ყველა აქციონერთა უფლებები მათი კლასის შესაბამისად.

2. შთანთქმის საწინააღმდეგო მექანიზმები არ უნდა იქნეს გამოყენებული მენეჯმენტისა და საბჭოს მიერ პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით.

ვ. ხელი უნდა შეეწყოს ყველა აქციონერის მიერ, მათ შორის ინსტიტუციონალური ინვესტორების მიერ, მფლობელობის უფლებით სარგებლობას.

1. ინსტიტუციონალურმა ინვესტორებმა, რომლებიც მინდობილობის საფუძველზე მოქმედებენ, უნდა გახსნან ინფორმაცია თავისი კორპორაციული მართვისა და კენჭისყრის პოლიტიკის შესახებ მათ მიერ განხორციელებული ინვესტიციებთან დაკავშირებით, მათ შორის ინფორმაცია იმ პროცედურების შესახებ, რომლებიც ხმის უფლების გამოყენების საკითხს არეგულირებს.

2. ინსტიტუციონალურმა ინვესტორებმა, რომლებიც მინდობილობის საფუძველზე მოქმედებენ, უნდა გახსნან ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ რეაგირებენ ინტერესთა ისეთ მნიშვნელოვან კონფლიქტზე, რომელსაც შეუძლია ზეგავლენა იქონიოს მფლობელობის მთავარი უფლებების გამოყენებაზე მათ ინვესტიციებთან დაკავშირებით.

ე. აქციონერებს, მათ შორის ინსტიტუციონალურ აქციონერებს, უნდა მიეცეთ ერთმანეთში კონსულტაციების გამართვის უფლება ისეთი საკითხების შესახებ, რომლებიც ეხება აქციონერთა ძირითად უფლებებს, როგორც ეს კორპორაციული მართვის პრინციპებშია განმარტებული, მაგრამ ამ უფლების გამოყენება შესაძლოა შეიზღუდოს იმ შემთხვევაში, თუ არსებობს მისი ბოროტად გამოყენების საფრთხე.

III. აქციონერთა მიმართ სამართლიანი მოპყრობა

კორპორაციული მართვის სისტემამ უნდა უზრუნველყოს აქციონერების მიმართ სამართლიანი მოპყრობა, მათ შორის არა-საკონტროლო პაკეტის მფლობელი და უცხოელი აქციონერების მიმართ. ყველა აქციონერს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, რომ მათი უფლებების დარღვევის სანაცვლოდ ეფექტური კომპენსაცია მიიღოს.

ა. ნებისმიერი კლასის ერთი და იმავე სერიის ყველა აქციონერის მიმართ მოპყრობა უნდა იყოს თანაბარი.

1. რომელიმე კლასის ერთი სერიის ფარგლებში ყველა აქციას ერთი და იგივე უფლება უნდა ჰქონდეს. ყველა ინვესტორს, აქციების ყიდვამდე, უნდა შეეძლოს ინფორმაციის მიღება იმ უფლებების შესახებ, რომელიც გააჩნია თითოეული სერიისა და კლასის აქციებს. ხმის მიცემის უფლებებში შესატანი ნებისმიერი ცვლილება მოწონებული უნდა იქნეს აქციების იმ კლასების მიერ, რომლებზეც ეს ცვლილება უარყოფით ზეგავლენას ახდენს.
2. არა-საკონტროლო პაკეტის მფლობელები დაცულნი უნდა იქნეს საკონტროლო პაკეტის მფლობელ აქციონერთა მხრიდან უფლებათა ბოროტად გამოყენებისაგან, და მათ კომპენსაციის ეფექტური საშუალებები უნდა ჰქონდეთ.
3. ნომინალურმა მფლობელმა ან მინდობილობით მოქმედმა პირმა ხმა უნდა მისცეს ისე, როგორც ეს აქციების ბენეფიციალურ მფლობელთან იყო შეთანხმებული.
4. უნდა მოიხსნას საზღვარგარეთიდან ხმის მიცემის წინააღმდეგ არსებული ბარიერები.
5. აქციონერთა საერთო კრების მოწვევისა და ჩატარების პროცესი და პროცედურები ისეთი უნდა იყოს, რომ ყველა აქციონერის მიმართ სამართლიანი მოპყრობის საშუალებას იძლეოდეს. კომპანიის პროცედურები გაუმართლებლად არ უნდა ართულებდეს ან აძვირებდეს კენჭისყრაში მონაწილეობის ხარჯებს.

ბ. უნდა აიკრძალოს ინსაიდერული ვაჭრობა და საკუთარ თავთან გარიგებების დადების უფლებით ბოროტად სარგებლობა.

გ. საბჭოს წევრები და მთავარი აღმასრულებელი პირები ვალდებული არიან საბჭოს წინაშე გახსნან ინფორმაცია იმის შესახებ გააჩნიათ თუ არა მათ პირდაპირ, ირიბად ან მესამე მხარს გავლით, მნიშვნელოვანი ინტერესი რომელიმე ისეთ ოპერაციაში, გარიგებასა თუ საკითხში, რომელიც პირდაპირ ზეგავლენას ახდენს კორპორაციაზე.

IV. დაინტერესებული მხარეების როლი კორპორაციულ მართვაში

კორპორაციული მართვის სისტემა უნდა აღიარებდეს დაინტერესებული მხარეების იმ უფლებებს, რომლებიც მათ კანონით ან ორმხრივი ხელშეკრულებების საფუძველზე აქვთ მინიჭებული და ხელს უნდა უწყობდეს თანამშრომლობას კორპორაციებსა და აქციონერებს შორის დოვლათის, სამუშაო ადგილებისა და ფინანსურად ჯანსაღი საწარმოების შექმნის საქმეში.

- ა. გარდა ამისა, პატივი უნდა ეცეს დაინტერესებულ მხარეთა იმ უფლებებს, რომლებიც კანონით ან ორმხრივი ხელშეკრულებებით არის მინიჭებული.
- ბ. იმ შემთხვევაში, როდესაც დაინტერესებულ მხარეთა ინტერესები კანონით არის დაცული, მათი უფლებების დარღვევისას დაინტერესებულ მხარეებს ეფექტური კომპენსაციის მიღების შესაძლებლობა უნდა გააჩნდეთ.
- გ. ნებადართული უნდა იქნეს დაქირავებულ თანამშრომელთათვის მუშაობის ხარისხის გასაუმჯობესებელი მექანიზმების დანერგვა.
- დ. იქ, სადაც კორპორაციული მართვის პროცესში დაინტერესებული მხარეები მონაწილეობენ, მათ რეგულარულად და დროულად უნდა მიეწოდებოდეთ შესაბამისი, საკმარისი და სანდო ინფორმაცია.
- ე. დაინტერესებულ მხარეებს, მათ შორის ინდივიდუალურ დაქირავებულ თანამშრომლებს და მათ წარმომადგენელ ორგანოებს, საშუალება უნდა ჰქონდეთ, რომ თავისუფლად მიაწოდონ საბჭოს ინფორმაცია მათი შემფოთების შესახებ არაკანონიერი ან არა-ეთიკური პრაქტიკის გამო, ხოლო მათი უფლებები ამის გამო არ უნდა დაზარალდეს.
- ვ. კორპორაციული მართვის სტრუქტურასთან ერთად უნდა არსებობდეს გაკოტრების ეფექტური მექანიზმი და კრედიტორის უფლებების ეფექტური აღსრულების შესაძლებლობა.

V. ინფორმაციის გახსნა და გამჭვირვალობა

კორპორაციული მართვის სისტემამ უნდა უზრუნველყოს ინფორმაციის დროულად და ზუსტად გახსნა კორპორაციის შესახებ ყველა მნიშვნელოვანი საკითხის გარშემო, მათ შორის ინფორმაციისა ფინანსური მდგომარეობის, მუშაობის ხარისხის, მფლობელობისა და კომპანიის მართვის შესახებ.

- ა. ინფორმაცია გახსნილი უნდა იქნეს, მაგრამ შესაძლოა არ შემოიფარგლოს, შემდეგი მნიშვნელოვანი საკითხების გარშემო:
 1. კომპანიის ფინანსური და საოპერაციო შედეგები;
 2. კომპანიის მიზნები;
 3. აქციების უდიდესი წილის მფლობელობა და ხმის მიცემის უფლებები;
 4. საბჭოს წევრებისა და ძირითადი აღმასრულებელი პირებისათვის სახელფასო პოლიტიკა, და ინფორმაცია საბჭოს წევრების შესახებ, მათ შორის მათი კვალიფიკაციები, შერჩევის პროცესი, სხვა კომპანიებში დირექტორად მუშაობა და თვლის თუ არა საბჭო მათ დამოუკიდებლად.
 5. გარიგებანი დაკავშირებულ მხარესთან;
 6. პროგნოზირებადი რისკ-ფაქტორები;
 7. დაქირავებულ თანამშრომლებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან დაკავშირებული საკითხები;
 8. მართვის სტრუქტურები და პოლიტიკა, კონკრეტულად კი ნებისმიერი კორპორაციული მართვის კოდექსის ან პოლიტიკის შინაარსი და პროცესი, რომლის საშუალებითაც მისი პრაქტიკაში განხორციელება ხდება.
- ბ. ინფორმაციის მომზადება და გახსნა უნდა მოხდეს საბუღალტრო და ფინანსური და არა-ფინანსური ინფორმაციის გახსნის მაღალი სტანდარტების შესაბამისად.
- გ. იმისათვის, რომ საბჭოსა და აქციონერების წინაშე წარდგენილი იქნეს გარეშე პირის მიერ მომზადებული და ობიექტური დასაბუთება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტები სწორად ასახავენ კომპანიის მუშაობასა და ფინანსურ მდგომარეობას, კომპანიის წლიური აუდიტი ჩატარებული უნდა იქნეს დამოუკიდებელი, კომპეტენტური და კვალიფიციური აუდიტორის მიერ.
- დ. გარე აუდიტორები ანგარიშვალდებულნი უნდა იქყვნენ აქციონერების წინაშე და ისინი კომპანიის წინაშე პასუხისმგებელნი არიან აუდიტის სათანადო პროფესიონალიზმითა და გულისყურით ჩატარებაზე.
- ე. ინფორმაციის გავრცელების არხები ისეთნაირად უნდა იქნეს შერჩეული, რომ მომხმარებლებმა შეძლონ შესაბამისი ინფორმაციის თანასწორად, დროულად და დანახარჯების თვალსაზრისით ეფექტურად მიღება;

- ზ. კორპორაციული მართვის სისტემა უნდა შეივსოს ეფექტური მიდგომით, რომელიც ანალიტიკოსის, ბროკერების, რეიტინგების შემფასებელი სააგენტოებისა და სხვათა მიერ შემოთავაზებულ ანალიზსა და რჩევას მიაწოდებს მომხმარებლებს ისეთი საკითხების გარშემო, რომლებიც გადაწყვეტილების მიღებაში დაეხმარება ინვესტორებს, თავისუფალი იქნება ინტერესთა ისეთი მნიშვნელოვანი კონფლიქტისაგან, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს ასეთი ანალიზისა და რჩევების ობიექტურობასა და სისწორეზე.

VI. საბჭოს პასუხისმგებლობანი

კორპორაციული მართვის სისტემა უნდა უზრუნველყოფდეს კომპანიისათვის სტრატეგიული მიმართულების დასახვას, საბჭოს მიერ კომპანიის მენეჯმენტზე ეფექტური მონიტორინგის განხორციელებასა და საბჭოს ანგარიშვალდებულებას კომპანიისა და მისი აქციონერების წინაშე.

- ა. საბჭოს წევრები სრულად უნდა იყვნენ ინფორმირებულნი, უნდა მოქმედებდნენ კეთილსინდისიერად, სათანადო გულისყურითა და სიფრთხილით და კომპანიისა და მისი აქციონერების საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე.
- ბ. იმ შემთხვევაში, თუ საბჭოს გადაწყვეტილებები აქციონერთა სხვადასხვა ჯგუფებზე სხვადასხვაგვარ ზეგავლენას ახდენ, საბჭო აქციონერების მიმართ სამართლიანად უნდა მოიქცეს.
- ც. საბჭო მაღალი ეთიკური სტანდარტებით უნდა ხელმძღვანელობდეს. მან დაინტერესებულ მხარეთა ინტერესები უნდა გაითვალისწინოს.
- დ. საბჭომ გარკვეული ძირითადი ფუნქციები უნდა შეასრულოს, მათ შორის:
 1. კორპორაციული სტრატეგიის, მნიშვნელოვანი სამოქმედო გეგმების, რისკების მართვის პოლიტიკის, წლიური ბიუჯეტებისა და ბიზნეს გეგმების, მუშაობის ეფექტურობის სამიზნეების გადასინჯვა და დასახვა; მონიტორინგისა და კორპორაციული მართვის განხორციელება; და ზედამხედველობის განხორციელება მნიშვნელოვან კაპიტალ-დანახარჯებზე, შესყიდვებსა და აქტივების გაყიდვით გაპიტალ-დაბანდების ამოღებაზე.
 2. მონიტორინგის განხორციელება კომპანიის მართვის პრაქტიკის ეფექტურობაზე და საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების განხორციელება.
 3. უამღლესი აღმასრულებელი პირების შერჩევა, მათთვის ანაზღაურების დანიშვნა, მათზე მონიტორინგის განხორციელება და როტაციის დაგეგმვაზე ზედამხედველობა.
 4. ძირითადი აღმასრულებელი პირებისა და საბჭოს წევრების ანაზღაურების ოდენობის მორგება კომპანიისა და აქციონერების გრძელ-ვადიან ინტერესებთან.
 5. საბჭოს დანიშვნისა და არჩევის ოფიციალური და გამჭვირვალე პროცესის უზრუნველყოფა;
 6. მენეჯმენტის, საბჭოს წევრებისა და აქციონერების ინტერესთა შესაძლო კონფლიქტების მართვა და მათზე მონიტორინგის განხორციელება, მათ შორის მონიტორინგის განხორციელება კორპორაციული აქტივების არადანიშნულებისამებრ გამოყენებაზე და დაკავშირებულ მხარესთან გარიგებებისას უფლებამოსილებათა ბოროტად გამოყენებაზე.
 7. კორპორაციის საბუღალტრო და ფინანსური ანგარიშგების სისტემის სიზუსტის უზრუნველყოფა, მათ შორის

დამოუკიდებელი აუდიტისა. აგრეთვე კონტროლის სათანადო სისტემის არსებობის უზრუნველყოფა, კონკრეტულად კი რისკის მართვის, ფინანსური და საოპერაციო კონტროლისა და კანონთან და სათანადო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

8. ინფორმაციის გახსნისა და კომუნიკაციის პროცესზე ზედამხედველობა;
- ე. საბჭომ უნდა შესძლოს ობიექტური და დამოუკიდებელი თვალსაზრისის შემუშავება კორპორაციული საკითხების გარშემო.
1. საბჭოებმა უნდა იფიქრონ საბჭოში საკმარისი ოდენობის არა-აღმასრულებელი წევრების არსებობის უზრუნველყოფაზე, რომელთაც შეუძლიათ დამოუკიდებელი მსჯელობა ისეთ საკითხებზე, რომელთა დაკავშირებითაც ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობის საფრთხე არსებობს. ასეთ უმთავრეს ვალდებულებათა შორის არის ფინანსური და არა-ფინანსური ანგარიშგების ერთიანობის უზრუნველყოფა, დაკავშირებულ მხარესთან გარიგებების შესწავლა, საბჭოს წევრებისა და ძირითადი აღმასრულებელი პირების დანიშვნა და საბჭოს წევრების ანაზღაურების განსაზღვრა.
 2. საბჭოს კომიტეტების შექმნისას, მათი მანდატი, შემადგენლობა და მუშაობის პროცედურა კარგად უნდა განისაზღვროს და გაიხსნას საბჭოს წინაშე.
 3. საბჭოს წევრებმა უნდა შესძლონ თავიანთი მოვალეობების ეფექტურად შესრულება.
- ვ. იმისათვის, რომ შესძლონ თავიანთ მოვალეობათა შესრულება, საბჭოს წევრებს დროულად უნდა მიუწვდებოდეთ ხელი ზუსტ და შესაბამის ინფორმაციაზე.